



მირიო MIRO

მირიან შველიძის
რეტროსპექტივა



ITALIA




ITALIA



ITALIA



GRAECIA



წინათქმა



ბოლო ორი წლის განმავლობაში დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში გამართულ გამოფენათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო რამდენიმე ავტორის პერსონალური გამოფენა. ფართო საზოგადოებამ ამ ექსპოზიციას მემკვიდრეობით გაიცნო მანამდე მხოლოდ ვიწრო სპეციალისტთა წრეში დაფასებულ უმნიშვნელოვანეს ხელოვანთა შემოქმედება.

მათ შორის იყო მირიან შველიძის გამოფენა *მირი*.

მირიან შველიძე თავისი დროის სოციალ-კულტურის ტიპური წარმომადგენელია. თუმცა, მისი პიროვნული კოლორიტი მეტად ინდივიდუალური იყო, რის გამოც არ ეწერებოდა „კონიუნქტურშიკების ამქარში“ და მაინც ახერხებდა ქართული ქალაქური თვითმყოფადობა, მხატვრული ხიბლი და სახალხო შემოქმედის უშუალობა შეენარჩუნებინა. მისი *თბილისები* საქალაქო ტრადიციების, ეთნო თუ სოციალ-მასხასიათებლების ერთგვარ მატრიანედ გვევლინება.

მირიან შველიძის შემოქმედების ცენტრალური ხაზი სცენოგრაფიაა და მაინც თბილისის მისი შემოქმედების გამჭოლი თემაა, მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოფენაზე მისი *თბილისების* მხოლოდ მცირედი ნაწილი შეგროვება მოხერხდა.

თბილისის თემაზე შექმნილი ნამუშევრები უფრო მეტად საინტერესო, მრავალფეროვანი და მრავალგანზომილებიანი 1980-იან წლებში გახდა, როცა მხატვარმა კოლაჟებთან ერთად სამგანზომილებიანი ასამბლაჟების შექმნა დაიწყო. მან აღმოაჩინა ნამდვილი თემა, რაც იყო ისტორიისა და კულტურის სიმდიდრე თბილისში, მაგალითად, ტრიპტიქი ძველი *თბილისის მოტივები* (ზეთი, ხე, ჯვალა. 60x82, 48x86. 1975. ეროვნული გალერეის კოლექცია) - ესაა გახსენება მდიდარი კულტურული და ესთეტიკური სამყაროსი, ტრადიციულქართული, სპარსული თუ დასავლეთევროპული სამყაროსი, რაც ასე შეითვისა კოსმოპოლიტურმა თბილისმა. მხატვარი მირიან შველიძე საკუთარი ნამუშევრებით გვაფიქრებს წარსულთან დიალოგის გზებზე. ის ძალიან მგრძნობიარეა მხატვრული ენის ტექსტურის მიმართ. მისი მხატვრული ენა განსხვავებულია, რაც მას უნიკალურ ხელოვანად აქცევს.

ახალი ქართული სცენოგრაფიის ერთ-ერთი შემქმნელის - მირიან შველიძის ნამუშევართა გამოფენა ეროვნული გალერეის ორი სართულის საგამოფენო სივრცეებს მოიცავდა. თბილისის თემაზე შექმნილ ნამუშევრებს ერთი დარბაზი დაეთმო.

ალექსანდრა გაბუნია

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მუზეუმთა ჯგუფის

საგამოფენო მიმართულების

ხელმძღვანელი

FOREWORD

Over the past two years, the Dimitri Shevardnadze National Gallery has hosted a variety of exhibitions, with the solo showcases of several artists particularly standing out. These exhibitions have allowed the public to engage with the works of highly esteemed artists, who were previously recognized only by a select group of connoisseurs. A notable example is the retrospective of Mirian Shvelidze, titled *Miro*.

Shvelidze has distinguished himself as a unique voice within the social and cultural landscape of his time. His style, while reflective of his era, also maintained a distinct individuality, differentiating him from the opportunists. He has adeptly captured the essence of Georgian urban life, artistic allure, and the immediacy of a creator connected to the people. His works themed around Tbilisi stand as a testament to the city's traditions, embodying both ethnic and social nuances.

Although scenography is Shvelidze's primary discipline, the recurring motif in his oeuvre is Tbilisi. Notably, only a selection of his Tbilisi-centric works was displayed at this exhibition. These pieces, particularly those created in the 1980s when Shvelidze began experimenting with assemblages and collages, showcase an increased interest, diversity, and complexity.

In his triptych *Motifs of Old Tbilisi*, 1975 (oil on wood, 60x82, 48x86, National Gallery Collection), Shvelidze captures the historical and cultural richness of Tbilisi. This piece serves as a homage to the city's rich cultural and aesthetic lineage, influenced by traditional Georgian, Persian, and Western European elements.

The works of Mirian Shvelidze invite reflection on our engagement with history. His nuanced approach to the texture of artistic expression distinguishes him as a remarkable artist. The uniqueness of his language solidifies his status as an exceptional talent.

The exhibition of Mirian Shvelidze, a significant figure in the new wave of Georgian scenography, spanned two floors of the National Gallery. A dedicated hall showcased his pieces that celebrate the theme of *Tbilisi*.

Alexandra Gabunia

Head of the Exhibition Department,

Georgian National Museum's

Group of Museums

გარეკანზე - აბრეშუმის გზის ინსტალაცია. *მარკო პოლოს* დარბაზი

On the cover: Silk Road Rout installation in the hall of *Marco Polo*

მ ი რ ო

მირიან შველიძის რეტროსპექტული გამოფენა ეროვნულ გალერეაში

2023 წლის 12 დეკემბრიდან 2024 წლის 5 იანვრის ჩათვლით ეროვნულ გალერეაში პირველად გაიმართა ცნობილ სცენოგრაფ მირიან შველიძის ნამუშევართა რეტროსპექტული გამოფენა, რომელშიც გაერთიანდა მხატვრის სცენოგრაფია, დაზგური ფერწერა და კედლის მხატვრობა. ეს უკანასკნელი წარმოდგენილი იყო რესტორან *მარკო პოლოს* შემთხვევით გადარჩენილი პლაფონით, რომლის ფრაგმენტებითა და კურატორის ინტერპრეტაციით ეროვნული გალერეის პირველი სართულის ერთი დარბაზის კედლებზე აბრეშუმის გზის გეოგრაფიული რუკის ინსტალაცია გაიშალა.

ნებისმიერი გამოფენის მთავარი გამონვევაა, შექმნას სამყარო, რომელშიც დამთვალიერებელი იმოგზაურებს და, მოგზაურობის კვალდაკვალ, აღმოჩენებს გააკეთებს. მირიან შველიძის ნამუშევრები საამისოდ უკიდევანო შესაძლებლობას იძლევა: სცენოგრაფია – სცენის მაკეტებსა და ესკიზებში მოქცეული თეატრის სივრცე – თავისთავად უკვე სამყაროა, ოღონდ, მიკროსამყარო. ეს უკანასკნელი, მხატვრის შემოქმედების შესწავლის პარალელურად, უსაზღვრო კოსმოსად გარდაიქმნა, რომლის ცენტრალური მაგისტრალი დასავლეთ-აღმოსავლეთის დამაკავშირებელ აბრეშუმის გზაზე გადიოდა; ამ გზის მთავარი პუნქტები თბილისი და რუსთაველის თეატრი იყო. შესაბამისად, მხატვრის ნამუშევართა რეტროსპექტივა დაიყო სამ სექციად:

თბილისი: დაზგური ფერწერა, რეკვიზიტი და კედლის მხატვრობის ესკიზები

მარკო პოლო: ერთმანეთთან რუკის პირობითი ენით დაკავშირებული კედლის მხატვრობის შემორჩენილი ფრაგმენტები

თეატრი: სცენის მაკეტები, ნახევარმაკეტები, რეკვიზიტი, ფოტოკოლაჟები, დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზები

შედეგად, რეტროსპექტული გამოფენა მოექცა კონცეპტუალურ ჩარჩოში, რომლის ცენტრალური ექსპონატი აბრეშუმის გზის ინსტალაცია გახდა.

გამოფენას ეწოდა *მ ი რ ო* – სახელი, რომლითაც მხატვარს ახლობლები მიმართავდნენ. ექსპოზიციაში გაერთიანდა როგორც კერძო, ასევე ეროვნული გალერეის, ხელოვნების სასახლისა და რუსთაველის თეატრის მუზეუმის კოლექციები.

წინამდებარე მცირე კატალოგში შესულია ექსპონირებული ნამუშევრების მხოლოდ ნაწილი.

MIRO

A Retrospective Show of Mirian Shvelidze at the Georgian National Gallery

From December 12, 2023, to January 5, 2024, the Georgian National Gallery proudly presented a retrospective show of the renowned set designer, Mirian Shvelidze, for the first time. This exhibition showcased an amalgamation of paintings, scenography, and the plafond of the Marco Polo restaurant. Fragments of the latter, fortuitously preserved from destruction, were reimagined by the curator into a grand installation depicting the Silk Road route, which adorned the walls of one of the gallery halls.

The quintessential aim of any exhibition is to craft a realm for visitors to traverse and uncover new insights. Mirian Shvelidze's oeuvre as a set designer offers boundless possibilities for such exploration. Set design encompasses scenic models, costume and scenery sketches and theatrical props, each a microcosm within itself. Through the curation of the exhibition material, these micro-worlds seamlessly mingled into a broader space, a universe with its main thoroughfare aligning with the historic Silk Road route, highlighting Tbilisi and the Rustaveli Theatre as pivotal waypoints.

Consequently, Shvelidze's retrospective, segmented into three distinct sections:

Tbilisi: Featuring oil paintings, theatrical props, set design and wall painting sketches.

Marco Polo: Displaying the extant fragments of a plafond, linked together through the symbolic language of cartography.

Theatre: Comprising stage models, props, photo collages, and an array of stage design and costume sketches.

Thus, the exhibition was framed within a conceptual context, with the Silk Road installation serving as its centrepiece.

The exhibition was called *Miro*, according to the nickname of the artist.

Collected in this small catalogue are only some parts of the extensive oeuvre which presented the master's retrospective show at the Georgian National Gallery.

თბილისი

„ქალაქზე ნელმა ალმა იფეთქა...“

თბილისი მირიან შველიძის ფერწერის მთავარი და ყველაზე მისტიკური მოტივია, აწყობილი და დამონტაჟებული გრიგოლ გაგარინის ეთნოგრაფიული ნახატებით, დიმიტრი ერმაკოვის ფოტოებით, საოჯახო ალბომებით, ფიროსმანისა და ყაჯარული ფერწერის ციკატებით.

მინიშნებები მხატვრის საყვარელ ფრანსისკო გოიასა და ფლამანდიელ ოსტატთა შემოქმედებაზე დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა მთელ ამ პლურალიზმს იდუმალსა და სიზმარულ სანახაობად აქცევს.

თბილისის სერიებში გამოყენებული მთავარი ტექნიკა, ზეთის ფერწერის გარდა, მხატვრის საყვარელია კოლაჟია.

ექსპონატთა უმეტესობა რიტუალების სასახლისა და რესტორნების – *მარკო პოლოსა* და *ფაეტონისთვის* შექმნილი კედლის მხატვრობის ესკიზებია.

მარკო პოლო

დასავლურ-აღმოსავლური დივანი

XX საუკუნის 90-იანი წლების თბილისის ყველაზე ცნობილი რესტორანი *მარკო პოლო* სცენოგრაფებმა: მირიან შველიძემ, უშანგი იმერლიშვილმა და გოგი ქვრივიშვილმა გააფორმეს. მირიან შველიძემ შექმნა პლაფონი და კედლის ჩანართები, რომლებიც აბრეშუმის გზაზე ვენეციელი მარკო პოლოს მარშრუტის მთავარ პუნქტებს ასახავდა.

მარკო პოლოს კედლის მხატვრობით მირიან შველიძემ საკუთარი თეატრი შექმნა, სადაც თავად არის რეჟისორიცა და მხატვარიც; შემოიყვანა პერსონაჟები – ისტორიული და მითოლოგიური, შემოიტანა სიმბოლოები და ფიგურატიულ და აბსტრაქტულ გამოსახულებათა წყება რესტორნის ჭერზე განათავსა.

მარკო პოლოს პლაფონი ევროპულ და აზიურ კულტურათა იკონოგრაფიით შექმნილი მოზაიკაა, სადაც ყოველი გამოსახულება აბრეშუმის გზის ამა თუ იმ გეოგრაფიულ პუნქტს უკავშირდება. მეტიც, ის ციკატებითა და ალუზიებით შედგენილი ინტერტექსტია: მარკო პოლოს სახე

TBILISI

“A slow flame blew over the city”

Tbilisi is the main and most mystical motif in the paintings of Mirian Shvelidze.

Within his works, the city is depicted as a stage model or a kaleidoscopic microcosm, comprised of Grigory Gagarin's ethnographic paintings, photographs by Dmitry Ermakov, various old family albums, and citations from Pirosmeni's paintings and Qajar art.

Allusions to the works of Francisco Goya – the favourite artist of Shvelidze – as well as the Flemish masters, transform all this pluralism and eclecticism of Western and Eastern cultures into a mysterious and fabulous show. Besides oil painting, the collage technique is the primary artistic method employed in the Tbilisi series. Most of the works presented here are wall painting sketches for the Tbilisi Palace of Rituals and restaurants *Marco Polo* and *Phaeton*.

MARCO POLO

West-Eastern Diwan

The most famous restaurant in Tbilisi in the 1990s, *Marco Polo*, was decorated by the set designers Mirian Shvelidze, Ushangi Imerlishvili, and Gogi Kvirivshvili.

Mirian Shvelidze created a large plafond and wall inserts depicting the main destination points of the legendary Italian traveller along the Silk Road route. While crafting the plafond for *Marco Polo* restaurant, Mirian Shvelidze conjured his own theatre, assuming the dual roles of director and artist. He introduced a cast of historical and mythological characters, creating symbols and arranging a tableau of figurative and abstract imagery across the restaurant's ceiling.

The ceiling of *Marco Polo* is a tapestry of iconography, weaving together elements from European and Asian cultures. Each icon is intricately linked to a specific locale along the Silk Road. This intertext is composed of citations and allusions: the visage of Marco Polo, the Venetian explorer, echoes the

ბერნარდ ვან ორლეის მიერ დახატული კარლ V-ის პორტრეტის ციტატაა; იბერიის სიმბოლო, მარიამ ბაგრატიონი – ბიზანტიური ხატისა და ყაჯარული პორტრეტის შენივთება; სპარსეთის ერთ-ერთი იმიჯი – საზზე დამკვრელი ღულამი – კარავაჯოს ბარბითზე დამკვრელის პერიფრაზია.

ამ გამოსახულებათა ცენტრში – დასავლურ და აღმოსავლურ სამყაროთა მიჯნაზე დგას ცეცხლის ცისფერ ალში გახვეული პროგრესის მამოძრავებელი ტიტანი პრომეთე.

მარკო პოლოს პლაფონში ყველაზე მკაფიოდ ჩანს შველიძის პოსტმოდერნისტული პოზიცია: პლურალიზმი – როდესაც ყველა კულტურას არსებობის თანაბარი უფლება აქვს; ეკლექტიკა – როდესაც დასაშვებია ხდება ადრე შექმნილის თამამი შერევა; ხელოვნების დეკანონიზაცია – როდესაც გამქრალია დარგების გამმიჯნავი ჩარჩოები; კულტურა და ხელოვნება როგორც შოუ, რომელიც წინა პლანზე სანახაობას აყენებს და ინტერტექსტურობა, რომელიც ნორმად აქცევს სხვათა ნამუშევრების ციტირებას, პერიფრაზირებასა და მინიშნებებს. რაც მთავარია, ყოველივე აქამდე შექმნილის თამამი შერწყმით ის დასაშვებია ხდის სრულიად ახალი და ორიგინალური ნამუშევრის შექმნას. აქედან გამომდინარე, შველიძის შემოქმედება, იმისდა მიუხედავად, რას უკავშირდება ის – თბილისს, სცენოგრაფიასა თუ აბრეშუმის გზას, შეიძლება წავიკითხოთ როგორც ზღაპარი ანდა როგორც ამბავი თბილისზე, თბილისში ჩამოსულ მხატვარ გაგარინზე, ფოტოგრაფ ერმაკოვზე, რუსთაველის თეატრზე, ყაჯარულ ფერწერაზე, მარკო პოლოსა და, რა თქმა უნდა, მხატვრის საყვარელ ფიროსმანზე.

2021 წელს, რესტორნის გასხვისების შემდგომ, პლაფონი დაშალეს. გადარჩენილი ფრაგმენტები კი რუსთაველის თეატრის დეკორატორთა სახელოსნოში შეინახეს.

ოდესღაც ერთიანი, შემდგომ კი დაშლილი, პლაფონის ნაწილები გამოფენაზე ერთმანეთს რუკის პირობითი ენით დაუკავშირდა. აბრეშუმის გზის ინსტალაცია მხატვრის ორიგინალური ნამუშევრის ახლებური ინტერპრეტაციაა, რომელიც მირიან შველიძის დასავლურ-აღმოსავლური დივანის სამყაროში გვამოგზაურებს.

პლაფონი დახატულია ნარმის ქსოვილზე კოლაჟის ტექნიკის გამოყენებით.

portrait of Charles V by Bernard van Orley; Mariam Bagrationi's countenance merges Byzantine iconography with Qajar portraiture; and a slave strumming the saz – the icon of Persia – is reminiscent of Caravaggio's *The Lute Player*.

At the intersection of Western and Eastern civilizations, Prometheus stands central among the images. The titan, an emblem of progress, is enshrouded in the ethereal blue of fire.

Shvelidze's postmodern ethos shines through in the *Marco Polo* ceiling, characterized by pluralism, where all cultures coexist with equal validity; eclecticism, permitting a daring blend of existing elements; the de-canonization of art, erasing the boundaries between disciplines; and the concept of culture and art as a spectacle, emphasizing entertainment. Intertextuality becomes the norm, allowing for quoting, paraphrasing, and alluding to the works of others. This approach enables the creation of a novel and original piece, boldly synthesizing all that has come before.

Thus, Shvelidze's creations, whether they depict Tbilisi, scenography, or the Silk Road route, can be interpreted as both a fantastical narrative and a chronicle of Tbilisi, as well as the Rustaveli Theatre, the artist Grigory Gagarin, the photographer Dimitri Ermakov, the Qajar paintings, Marco Polo, and, most endearingly, the artist's favourite Niko Pirosmiani.

In 2021, following the sale of the restaurant, the ceiling was dismantled, and the surviving fragments were moved to the decorators' workshop at the Rustaveli Theatre. The parts of the plafond presented at the exhibition – once united, but now divided into parts – were interconnected by the map's conventional language. This was a new interpretation of the artist's original work, which took us on a journey into the miraculous world of Mirian Shvelidze's West-Eastern Diwan.

The ceiling is painted on calico with oil paints using a collage technique.

თეატრი

მხატვრის თეატრი

რობერტ სტურუასა და მირიან შველიძის თანამშრომლობით ქართული თეატრის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო – სტურუას პოლიტიკური თეატრი, რომელმაც გააერთიანა სცენური შემოქმედების ისტორიულად ჩამოყალიბებული ყველა ტიპი: რეჟისორის თეატრი, დრამატურგის თეატრი, მსახიობის თეატრი და მხატვრის თეატრი.

ტერმინი მხატვრის თეატრი სამეცნიერო მიმოქცევაში თეატრის ისტორიკოსმა ვიქტორ ბერიოზკინმა დაამკვიდრა. მისი განმარტებით, ის ხელოვნების ახალი ფორმაა სახვითი ხელოვნებისა და სცენოგრაფიის ზღვარზე, რომლის საფუძველი XX საუკუნის დასაწყისში თეატრში მომუშავე მოდერნისტებმა შექმნეს.

ამ ტიპის თეატრის მხატვრობა სასცენო დროსა და სივრცეში გაშლილი არტობიექტების, ასამბლაჟებისა და ინსტალაციების კომპოზიციებია, რომელთა სახვითი მხარე მნიშვნელობით დრამატულ მოქმედებას უტოლდება.

„მხატვრის თეატრი ცოცხლობს იმ მომენტამდე, ვიდრე მას ოსტატი ქმნის და არსებობას წყვეტს ოსტატის ბიოგრაფიის დასრულებისთანავე“ (ვ. ბერიოზკინი).

გამოფენა შველიძის თეატრის გაცოცხლებას ისახავდა მიზნად, რომელიც გამორჩეულია სათეატრო პირობითობით, ფაქტურების სიმდიდრით, ინტერტექსტურობითა და ოსტატის ხელოვნებით.

თეატრის სექციაში გაერთიანდა სცენის რეკვიზიტი და დაზგური ნამუშევრების სერიები – საღებავებით დასვრილი სახელოსნოს იატაკის ფრაგმენტებით აწყობილი აბსტრაქციები, ირაკლი გამრეკელის მიერ ახმეტელის სპექტაკლ *ლამარასთვის* შექმნილი კოსტიუმებისგან გაკეთებული კოლაჟები; ხე სპექტაკლიდან *გოდოს მოლოდინში* და გიგანტური თოჯინები სპექტაკლიდან *ვანილის მოტკბო, სევდიანი სურნელი*, ყველაფერი ის, რაც მირიან შველიძის თეატრის ხელოვნებაა.

მაია ჩიკვაიძე
გამოფენის კურატორი
2024, თბილისი

THEATRE

Artist's Theatre

The collaboration between Robert Sturua and Mirian Shvelidze heralded a new era in Georgian theatre – Sturua's Political Theatre. This movement synthesized all types of stagecraft: Director's Theatre, Playwright's Theatre, Actor's Theatre, and Artist's Theatre.

The term Artist's Theatre was first coined by theatre historian Viktor Beryozkin who described it as an innovative art form emerging from the confluence of contemporary fine art and set design, a legacy of the Modernists' ground-breaking work in scenic design at the turn of the 20th century. Artist's Theatre is characterized by a tapestry of diverse art objects, assemblages, and installations that fill the stage's time-space continuum, with their aesthetic significance paralleling that of the dramatic narrative.


“The lifespan of the Artist's Theatre is intertwined with that of the master himself; it thrives under his hand and fades away upon the completion of his life's work as a set designer.”

The exhibition sought to revive Shvelidze's theatre, celebrated for its intertextual layers, abundance of references, textural richness, and flawless execution.

In homage to Shvelidze's artistry, the exhibition's Theatre section showcased a vast array of his legacy: costume and scenery sketches, scenic models, props, and abstract collages. These latter pieces, assembled from the paint-splattered remnants of the workshop floor, along with the costumes designed by the modernist scenographer Irakli Gamrekeli for Sandro Akhmeteli's 1930 stage production of *Lamara*, and props from the productions *Waiting for Godot*, and gigantic dolls for *The Sweetish, Sad Scent of Vanilla* stand as a testament to the vibrant creative spirit of Shvelidze's theatre.

Maia Chikvaidze
Curator of the exhibition
2024, Tbilisi

მირო MIRO



ფერმწერი, სცენოგრაფი და ინტერიერის დეკორატორი მირიან შველიძე 1975-2022 წლებში იყო რუსთაველის თეატრის მთავარი მხატვარი, რეჟისორ რობერტ სტურუას თანამოაზრე და მის მიერ დადგმულ სპექტაკლთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თანამონაწილე.

რეჟისორისა და მხატვრის თანამშრომლობა მხატვრის გარდაცვალებამდე გაგრძელდა.

მან გააფორმა რობერტ სტურუას არაერთი საეტაპო სპექტაკლი: *ყვარყვარე* (1974), *რიჩარდ მესამე* (1979), *მეფე ლირი* (1987), *მაკბეტი* (1995), *კაცია ადამიანი!* (2000), *ჰამლეტი* (2001), *გოდოს მოლოდინში* (2002), *ვანილის მოტკობი, სევდიანი სურნელი* (2005), *დარისპანის გასაჭირი* (2006), *მაგრიტის შემდეგ* (2012), *ელექტრა* (2014), *იულიუს კეისარი* (2015), *მარია კალასი. ვაკვეთილი* (2019) და სხვა. მანვე გააფორმა არაერთი სპექტაკლი თბილისის გრიბოედოვის რუსულსა და თავისუფალ თეატრებში, ასევე დადგმები თურქეთის, საბერძნეთისა და ისრაელის სცენებისთვის. თეატრის მხატვრობის გარდა, მირიან შველიძემ დიდი წვლილი შეიტანა ინტერიერების გაფორმებაში – შექმნა კედლის კოლაჟები *რიტუალების სასახლის* ვიპბარისა და თბილისის რესტორნების – *ფაეტონის*, *მარკო პოლოსა* და *ოქროს კაბისთვის*.

მირიან შველიძე თანამედროვე ქართული სცენოგრაფიის ერთ-ერთ შემომქმედად ითვლება.

Mirian Shvelidze was a painter, set designer, and interior decorator who worked as the Chief artist at the Rustaveli Theatre from 1975 until his death in 2022. He was an integral collaborator with director Robert Sturua and played a crucial role in staging his performances. Their collaboration continued until Shvelidze's passing.

Shvelidze's design work left an indelible mark on Sturua's turning-point stage productions, including *Kvarkvare* (1974), *Richard III* (1979), *King Lear* (1987), *Macbeth* (1995), *Is he a human, this man?* (2000), *Hamlet* (2001), *Waiting for Godot* (2002) *Sweetish*, *Sad Scent of Vanilla* (2005), *The Misfortune of Darispani* (2006), *After Magritte* (2012), *Electra* (2014), *Julius Caesar* (2015), *Maria Callas. Master class* (2019) and others.

Shvelidze also designed sets for plays at the Griboedov Russian and Independent Theatres in Tbilisi, as well as various performances in Turkey, Greece and Israel.

Beyond the theater, Shvelidze's creative contributions extended to interior design. He crafted wall collages for the VIP bar at the *Palace of Rituals* and several Tbilisi restaurants, including *Phaeton*, *Marco Polo*, and *Golden Mug*.

His innovative work has solidified his place as one of the pioneers of modern Georgian set design.



1


TBILISI



2



3



5



4



6



8



7



9



10



11



12



13



14



15



16



15



17

MARCO POLO



18

ITALIA



19

ITALIA



20

PERSIA




21

PERSIA




22

SINAE



23





25

THEATRE



26



27



28



24



29



30



31

25



32



33



35



34



36



37



38



39



41



40



42



43



45



44



46




47



48



49



50



51



52



53



54



55



56



57



58



59





ილუსტრაციები

თბილისი
ხე, კოლაჟი, ზეთის საღებავი. 50x70
კერძო კოლექცია

თბილისი
ტილო, ზეთის საღებავი. 40x60
კერძო კოლექცია

დარბაზი თბილისი

ძველი თბილისის მოტივები. ტრიპტიქი
ხე, ტილო, ზეთის საღებავი. 60x82, 48x86
ეროვნული გალერეის კოლექცია

ძველი თბილისის მოტივები
ტრიპტიქის ფრთა
ხე, ტილო, ზეთის საღებავი. 48x86
ეროვნული გალერეის კოლექცია

რუსთაველის თეატრი
მუყაო, შერეული ტექნიკა. 54x90
კერძო კოლექცია

რუსთაველის თეატრი
ფირფიცარი, შერეული ტექნიკა. 50x70
კერძო კოლექცია

დეკორაციის ესკიზი რუსთაველის თეატრის
სპექტაკლისათვის - ხანუმა (დრამატურგი ავქსენტი
ცაგარელი; დამდგმელი რეჟისორი რობერტ სტურუა)
ნახევარმაკეტი
ხე, ზეთის საღებავი. 47x76
ეროვნული გალერეის კოლექცია

რეკვიზიტი რუსთაველის თეატრის სპექტაკლისათვის -
ვანილის მოტკბო, სეფიანი სურნელი (დრამატურგი ირაკლი
სამსონაძე; დამდგმელი რეჟისორი რობერტ სტურუა)
მუყაო, პაპიე-მამე, ქსოვილი. 225x60x35
რუსთაველის თეატრის საკუთრება

თბილისი. რიტუალების სასახლის კედლის მხატვრობის
ესკიზი
მუყაო, კოლაჟი. 43x69
კერძო კოლექცია

თბილისი. რესტორან ფაეტონის კედლის მხატვრობის
ესკიზი
ტილო, ფითხი, კოლაჟი
კერძო კოლექცია

თბილისი
კოლაჟი, მუყაო. 40x90
კერძო კოლექცია

რიტუალების სასახლის კედლის მხატვრობის ესკიზი
მუყაო, კოლაჟი. 43x69
კერძო კოლექცია

კომპოზიცია
ფირფიცარი, აპლიკაცია. 18x48
კერძო კოლექცია

წმინდანები
ქალაღდი, ფითხი, კოლაჟი. 50x64
კერძო კოლექცია

კომპოზიცია
მხატვრის სადიპლომო ნამუშევრის ნაწილი
ხე, ზეთის საღებავი. 60x100
კერძო კოლექცია

ILLUSTRATIONS

1 *Tbilisi*
Oil on wood, collage. 50x70
Private collection

2 *Tbilisi*
Oil on wood. 40x60
Private collection

3 *Tbilisi hall*

4 *Old Tbilisi Motives. Triptych*
Oil on canvas. 60x82, 48x86
Georgian National Gallery Collection

5 *Old Tbilisi Motives
Triptych wing*
Oil on wood. 48x86
Georgian National Gallery Collection

6 *Rustaveli Theatre*
Mixed technique on cardboard. 54x90
Private collection

7 *Rustaveli Theatre*
Mixed technique on plywood. 50x70
Private collection

8 Set design sketch for the production *Khanuma* by
Avksenti Tsagareli, Dir. Robert Sturua
Oil on wood. 47x76
Georgian National Gallery collection

9 Props for the Rustaveli State Theatre Production
The Sweetish, Sad Scent of Vanilla by Irakli Samsonadze
Dir. Robert Sturua
Cardboard, wood, papier-mache, textile. 225x60x35
Rustaveli State Theatre collection

10 Wall painting sketch for the Tbilisi Palace of Rituals
Collage on cardboard. 43x69
Private collection

11 *Tbilisi*
Wall painting sketch
Coating and collage on canvas
Private collection

12 *Tbilisi*
Collage on cardboard. 40x90
Private collection

13 Wall painting sketch for Tbilisi Palace of Rituals
Collage on cardboard. 43x69
Private collection

14 *Composition*
Applique on plywood. 18x48
Private collection

15 *Saints*
Collage, coating on paper. 50x40
Private collection

16 *Composition. A fragment of the artist's graduate work*
Oil on wood. 60x100
Private collection

იტალია – ლარნაკი
რესტორან *მარკო პოლოს* პლაფონის ფრაგმენტი
მუყაო, ზეთი. 92×123
კერძო კოლექცია

მარკო პოლოს პორტრეტი
რესტორან *მარკო პოლოს* პლაფონის ფრაგმენტი
ნარმის ქსოვილი, ზეთის საღებავი, აპლიკაცია. 180×120
კერძო კოლექცია

იტალია. ჰერალდიკური სიმბოლოები. რესტორან *მარკო პოლოს* პლაფონის ფრაგმენტი
ნარმის ქსოვილი, ზეთის საღებავი. 60×225
კერძო კოლექცია

იტალია – კუპიდონები
რესტორან *მარკო პოლოს* პლაფონის ფრაგმენტი
ნარმის ქსოვილი, ზეთის საღებავი. 94×240
კერძო კოლექცია

სპარსეთი – საზზე დამკერელი ლულამი. რესტორან *მარკო პოლოს* პლაფონის ფრაგმენტი
ფირფიცარი, ზეთის საღებავი. 235×61
კერძო კოლექცია

სპარსეთი – ცხენოსანი შაჰი
რესტორან *მარკო პოლოს* პლაფონის ფრაგმენტი
ნარმის ქსოვილი, ზეთის საღებავი, ოქროს კილიტი, აპლიკაცია. 108×146
კერძო კოლექცია

ჩინეთი – კომპასი. რესტორან *მარკო პოლოს* პლაფონის ფრაგმენტი
ნარმის ქსოვილი, ზეთის საღებავი, ოქროს კილიტი, აპლიკაცია. 140×105
კერძო კოლექცია

ბიზანტია და იბერია – მარიამ ზაგრატიონი. რესტორან *მარკო პოლოს* პლაფონის ფრაგმენტი
ნარმის ქსოვილი, ზეთის საღებავი, აპლიკაცია. 154×180
კერძო კოლექცია

თოჯინები. რეკვიზიტი რუსთაველის თეატრის სპექტაკლისათვის – *ვანილის მოტკბო, სევდიანი სურნელი* (დრამატურგი ირაკლი სამსონაძე; დამდგმელი რეჟისორი რობერტ სტურუა)
მუყაო, პაპიე-მაშე, ქსოვილი. 285×80×30, 335×110×34
რუსთაველის თეატრის საკუთრება

სცენის მაკეტი რუსთაველის თეატრის სპექტაკლისათვის – *ყვარყვარე* (დრამატურგი პოლიკარპე კაკაბაძე; დამდგმელი რეჟისორი რობერტ სტურუა). 45×65×66
რუსთაველის თეატრის მუზეუმის კოლექცია

დეკორაციის ესკიზი რუსთაველის თეატრის სპექტაკლისათვის – *ყვარყვარე* (დრამატურგი – პოლიკარპე კაკაბაძე; დამდგმელი რეჟისორი – რობერტ სტურუა)
ფანერა, ქალაღი, გუაში
ხელოვნების სასახლის კოლექცია

დეკორაციის ესკიზი რუსთაველის თეატრის სპექტაკლისათვის – *ყვარყვარე* (დრამატურგი პოლიკარპე კაკაბაძე; დამდგმელი რეჟისორი რობერტ სტურუა)
ხე, ტილო, ზეთის საღებავი, აპლიკაცია 75×100
ეროვნული გალერეის კოლექცია

დეკორაციის ესკიზი მეტეხის თეატრის სპექტაკლისათვის – *მოდ, ვნახით ვენახი!* (დრამატურგი და დამდგმელი რეჟისორი სანდრო მრევლიშვილი)
ტილო, ზეთის საღებავები, აპლიკაცია. 55×75
ეროვნული გალერეის კოლექცია

17 *Italia – A Vase*
A fragment of the *Marco Polo* ceiling
Oil on cardboard. 92×123
Private collection

18 *Portrait of Marco Polo.*
A fragment of the *Marco Polo* ceiling
Oil and applique on calico. 180×120
Private collection

19 *Italia – Heraldic symbols*
A fragment of the *Marco Polo* ceiling
Oil on calico. 60×225
Private collection

20 *Italia – Cupids*
A fragment of the *Marco Polo* ceiling
Oil on calico. 94×240
Private collection

21 *Persia – Ghulam playing saz*
A fragment of the *Marco Polo* ceiling
Oil on plywood. 235×61
Private collection

Persia – Equestrian Shah
A fragment of the *Marco Polo* ceiling
Oil, gold-like foil and applique on calico. 108×146
Private collection

23 *Sinae – A Compass*
A fragment of the *Marco Polo* ceiling
Oil, gold-like foil and applique on calico. 140×105
Private collection

24 *Byzantii et Iberiae – Mariam Bagrationi*
A fragment of the *Marco Polo* ceiling
Oil and gold-like foil and applique on calico. 154×180
Private collection

25 A Doll – theatrical prop for the Rustaveli Theatre
26 production *The Sweetish, Sad Scent of Vanilla* by
27 Irakli Samsonadze. Dir. Robert Sturua
Cardboard, papier-mache, fabric. 285×80×30
Rustaveli Theatre property

28 Stage model for Rustaveli Theatre production *Kvarkvare*
by Avksenti Tsagareli
Dir. Robert Sturua. 45×65×66
Rustaveli Theatre Museum collection

29 Set design sketch for Rustaveli Theatre production
Kvarkvare by Avksenti Tsagareli
Dir. Robert Sturua
Gouache on paper. 56×69,5
Rustaveli Theatre Museum collection

30 Set design sketch for Rustaveli Theatre production
Kvarkvare by Avksenti Tsagareli
Dir. Robert Sturua
Gouache on paper. 75×100
Rustaveli Theatre Museum collection

31 Set design sketch for the Metekhi Theatre production
Let’s find a Vineyard! By Sandro Mrevlishvili
Dir. Sandro Mrevlishvili
Oil and applique on canvas. 55×75
Georgian National Gallery Collection

აფიშები რუსთაველის თეატრის სპექტაკლისათვის – *ყვარყვარე* (დრამატურგი პოლიკარპე კაკაბაძე; დამდგმელი რეჟისორი რობერტ სტურუა)
ქალაღი, გუაში, კოლაჟი, აპლიკაცია. 99×69, 100×60
რუსთაველის თეატრის მუზეუმისა და ხელოვნების სასახლის კოლექციები

აფიშა მეტეხის თეატრის სპექტაკლისათვის – *მოდ, ვნახით ვენახი!* (დრამატურგი და დამდგმელი რეჟისორი სანდრო მრევლიშვილი)
ქალაღი, გუაში, ფოტო. 100×60
ხელოვნების სასახლის კოლექცია

სცენის მაკეტი რუსთაველის თეატრის სპექტაკლისათვის – *რიჩარდ მესამე* (პიესის ავტორი უილიამ შექსპირი; დამდგმელი რეჟისორი რობერტ სტურუა). 47×65×83
რუსთაველის თეატრის მუზეუმის კოლექცია

დეკორაციის ესკიზი რუსთაველის თეატრის სპექტაკლისათვის – *რიჩარდ მესამე* (პიესის ავტორი უილიამ შექსპირი; დამდგმელი რეჟისორი რობერტ სტურუა)
ტილო, ზეთი. 50×60. კერძო კოლექცია

კოსტიუმების ესკიზები რუსთაველის თეატრის სპექტაკლისათვის – *რიჩარდ მესამე* (პიესის ავტორი უილიამ შექსპირი; დამდგმელი რეჟისორი რობერტ სტურუა)
ქალაღი, აკვარელი, გუაში. 32×22. კერძო კოლექცია

კოსტიუმების ესკიზები ანკარის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლისათვის – *ჰამლეტი* (პიესის ავტორი უილიამ შექსპირი; დამდგმელი რეჟისორი რობერტ სტურუა)
ქალაღი, აკვარელი, გუაში, ფოტო, ქსოვილი. 28×49
რუსთაველის თეატრის მუზეუმის კოლექცია

სცენის მაკეტი რუსთაველის თეატრის სპექტაკლისათვის – *მეფე ლირი* (პიესის ავტორი უილიამ შექსპირი; დამდგმელი რეჟისორი რობერტ სტურუა). 47×65×83
რუსთაველის თეატრის მუზეუმის კოლექცია

სცენის მაკეტი რუსთაველის თეატრის სპექტაკლისათვის – *ჰამლეტი* (პიესის ავტორი უილიამ შექსპირი; დამდგმელი რეჟისორი რობერტ სტურუა). 49×65×67
რუსთაველის თეატრის მუზეუმის კოლექცია

დეკორაციის ესკიზი რუსთაველის თეატრის სპექტაკლისათვის – *ჰამლეტი* (პიესის ავტორი უილიამ შექსპირი; დამდგმელი რეჟისორი რობერტ სტურუა)
ფირფიცარი, აპლიკაცია. 50×60. კერძო კოლექცია

დეკორაციის ესკიზი რუსთაველის თეატრის სპექტაკლისათვის – *ჰამლეტი* (პიესის ავტორი უილიამ შექსპირი; დამდგმელი რეჟისორი რობერტ სტურუა)
კოლაჟი, აპლიკაცია. 50×60
ფრაგმენტი
კერძო კოლექცია

სცენის მაკეტი ილია ჭავჭავაძის მოთხრობის მიხედვით რუსთაველის ეროვნულ თეატრში დადგმული სპექტაკლისათვის – *კაცია ადამიანი?!* (დამდგმელი რეჟისორი რობერტ სტურუა). 50×65×53
რუსთაველის თეატრის მუზეუმის კოლექცია

სცენის მაკეტი სპექტაკლისთვის *მონოლისკი* (პიესის ავტორი არდი ლიივესი; დამდგმელი რეჟისორი ნანა ხატისკაცი). 54×75×12
ეროვნული გალერეის კოლექცია

სცენის მაკეტი რუსთაველის თეატრის სპექტაკლისათვის – *ელექტრა* (პიესის ავტორი სოფოკლე; დამდგმელი რეჟისორები : რობერტ სტურუა და ნიკა ჰეინე-შველიძე). 37×45×03
რუსთაველის თეატრის მუზეუმის კოლექცია

32 Posters for the Rustaveli Theatre production *Kvarkvare* by
33 Polikarpe Kakabadze
Dir. Robert Sturua
Gouache and applique on paper. 99×69, 100×60
Art Palace and Rustaveli Theatre Museum collections

34 A poster for the Metekhi Theatre production
Let’s Find a Vineyard! By Sandro Mrevlishvili.
Dir. Sandro Mrevlishvili
Photo and gouache on paper. 100×60
Art Palace collection

35 Stage model for the Rustaveli Theatre production
Richard III by Shakespeare. Dir. Robert Sturua. 47×65×83
Rustaveli Theatre Museum collection

36 Set design sketch for the Rustaveli Theatre production
Richard III by Shakespeare. Dir. Robert Sturua
Oil on canvas. 50×60. Private collection

37 Costume sketches for the Rustaveli Theatre production
Richard III by Shakespeare. Dir. Robert Sturua
Gouache on paper. 32×22. Private collection

38 Costume sketches for the Ankara National Theatre
production *Hamlet* by Shakespeare. Dir. Robert Sturua
Gouache, applique and watercolor on paper. 28×49
Rustaveli Theatre Museum collection

39 Stage model for the Rustaveli Theatre production
King Lear by Shakespeare. Dir. Robert Sturua. 47×65×83
Rustaveli Theatre collection

40 Stage model for the Rustaveli Theatre production
Hamlet by Shakespeare. Dir. Robert Sturua
49×65×67
Rustaveli Theatre Museum collection

41 Set design sketch for the Rustaveli Theatre production
Hamlet by Shakespeare. Dir. Robert Sturua
Applique on plywood. 50×60. Private collection

42 Set design sketch for the Rustaveli Tehatre production
Hamlet by Shakespeare. Dir. Robert Sturua
Applique, collage. 50×60
Private collection

43 Stage model for the Rustaveli Theatre production
Is He a Human, this Man? After Iliia Chavchavadze
Dir. Robert Sturua. 50×65×53
Rustaveli Theatre Museum collection

44 Stage model for the production of *Monolisk* by Ardi Liives
Dir. Nana Khatiskatsi. 54×75×12
Georgian National Gallery collection

45 Stage model for the Rustaveli Theatre production *Electra*
by Sophocles. Dir. Robert Sturua, Nika Heine-Shvelidze
37×45×03
Rustaveli Theatre Museum collection



მეფე ლირის კოსტიუმის ესკიზი
Costume sketch for King Lear



კულტურისა და სპორტის სამინისტრო

შემდგენელი მაია ჩიკვაიძე
დიზაინერი ირაკლი ხუციშვილი
ფოტოგრაფი ბორის სკრინიკოვი
მთარგმნელი მარიამ დვალი
რედაქტორი ნინო ნადარაია

Compiled by **Maia Chikvaдзе**
Graphic design by **Irakli Khutsishvili**
Photography by **Boris Skrinnikov**
Translation by **Mariam Dvali**
Text editing by **Nino Nadaraia**

© დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნული გალერეა. 2024
ყველა უფლება დაცულია

© Dimitri Shevardnadze Georgian National Gallery. 2024
All rights reserved

ISBN 978-9941-9822-8-6
Ed. №2

კატალოგი გამოიცა საქართველოს
კულტურისა და სპორტის სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით

The publication has been made possible through the financial
support of the Georgian Ministry of Culture and Sport

საქართველოს ეროვნული გალერეა
შოთა რუსთაველის გამზირი №11
0108 თბილისი, საქართველო
(+995 32) 2 157 300

11, Shota Rustaveli Ave
0108 Tbilisi, Georgia
(+995 32) 2 157 300

exhibition@museum.ge
www.art.gov.ge